

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობასა

და

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის

საქართველოს ინვესტორთა საბჭოს

ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობის შესახებ

ცვლილება

თავდაპირველი ხელმოწერის თარიღი 20015 წლის 12 აპრილი

19 ივლისი, 2019

ვინაიდან 2015 წლის 12 აპრილს საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (შემდგომში თითოეული „მხარე“ ერთობლივად კი „მხარეები“) ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის (შემდგომში „მემორანდუმი“) შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №829 განკარგულების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინვესტორთა საბჭო (შემდგომში „საბჭო“);

ვინაიდან, საბჭო ასრულებს მნიშვნელოვან როლს საქართველოში კერძო სექტორის და ბიზნეს გარემოს განვითარებაში;

ვინაიდან, მხარეები ხედავენ შესაძლებლობას, კიდევ უფრო გაზარდონ საბჭოს ეფექტურობა;

ვინაიდან, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები გამოხატავენ მზადყოფნას, წვლილი შეიტანონ საბჭოს მუშაობაში;

### **მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:**

ურთიერთგაგების მემორანდუმში საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის საქართველოს ინვესტორთა საბჭოს ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობის შესახებ, შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

- მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

### **„3. წევრები**

ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ინვესტორთა საბჭო მაქსიმუმ 17 წევრისგან შედგება და აერთიანებს დაინტერესებულ მხარეების (მონაწილეების) რამდენიმე ჯგუფს

მუდმივი წევრები:

- *მინისტრები:*
  - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;
  - საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
  - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;
  - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;
  - საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- *ადგილობრივი და უცხოური ბიზნეს ასოციაციის წარმადგენლები:*
  - საქართველოს ბიზნეს ასოციაცია;
  - ამერიკის სავაჭრო პალატა;
  - ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო;
  - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა;

- საერთაშორისო სავაჭრო პალატა;
- საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენი
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

როტაციის პრინციპით ცვალებადი წევრები

კერძო სექტორის განვითარებაზე მომუშავე საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების/განვითარების საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების ორი წარმომადგენელი.

ბიზნეს ასოციაციების ორი წარმომადგენელი, როგორც ხმის უფლების არმქონე როტაციის პრინციპით ცვალებადი წევრი.

აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, ინვესტორთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებებს ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევრობანკის წარდგინებით და ინვესტორთა საბჭოს წევრებთან კონსულტაციების საფუძველზე.

ინვესტორთა საბჭოს წევრების გარდა, ინვესტორთა საბჭოს სხდომების დღის წესრიგის და განსახილველი საკითხების/სექტორების მიხედვით მინისტრების, ექსპერტების, სექტორთან ასოცირებული პირების, სახელმწიფოს სპეციალიზებული უწყებების, ბიზნეს წრეების წარმომადგენლებისა და სხვათა მოწვევა შესაძლებელია ინვესტორთა საბჭოს კონკრეტულ დისკუსიებში მონაწილეობისა მისაღებად.“

საქართველოს მთავრობა

ევროპის რეკონსტრუქციისა და  
განვითარების ბანკი

---

*მამუკა ბახტაძე*

---

*კატარინა ბიორლინ ჰანსენი*

საქართველოს პრემიერ მინისტრი

რეგიონალური დირექტორი კავკასიაში